ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-05/120-1

ქ. ბათუმი 10/09/2018 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 თებერვლის №121 დადგენილებით „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, NAT180007486 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის შპს „კავკასუს მოტორსი“-ს მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან - შპს „იბერია ავტო ლენდი“-სთან ავტომობილის (Mitsubishi L200, სახ. ნომერი WW741WO) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით

და მეორეს მხრივ, შპს „იბერია ავტო ლენდი“, შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს სატრანსპორტო საშუალების (Mitsubishi L200, სახელმწიფო ნომრით WW741WO) ავტოტექნიკური მომსახურება (მათ შორის ძრავის ზეთისა და ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა) დანაყოფის კოდი - 50100000; ასევე უზრუნველყოს ჰაერის ფილტრის გამოცვლა (დანაყოფის კოდი - 34300000), შემდეგში შესყიდვის ობიექტი/საქონელი/მომსახურება, ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა/ავტონაწილების გამოცვლა, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

1.3. მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების საერთო ვადა: 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება. დაფინანსების წყარო

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **540.00 (ხუთას ორმოცი)** ლარს:

2.1.1. 460,00 ლარი - 50100000 დანაყოფის კოდი,

2.1.2. 80,00 ლარი - 34300000 დანაყოფის კოდი.

2.2. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც მომსახურების შესყიდვასთან/საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე/ მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შეთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურება/მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან: II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში ან/და მძღოლი) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება/მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადა, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

MINISTRY OF AGRICULTURE OF AJARA A.R. LEPL LABORATORY AND RESEARCH CENTRE
245645235
GEORGIA
GEORGIAN MINERAL WATERS LTD
236095177

7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

ს/კ 245645235

ელ. ფოსტა: samebalab@gmail.com

მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში: 740347519

ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე

მიმწოდებელი:

შპს „იბერია ავტო ლენდი"

ს/კ 236095177

ელ. ფოსტა: D.Dodiashvili@mitsubishi.ge

იურ. მის: ქ. თბილისი, ს. დიღომი

ს.ს. „ტერა ბანკი"

ბანკის კოდი - TEBAGE22

ა/ა GE 67VT 7000 0077 7777 3602 GEL

დირექტორი: გიორგი ამაშუკელი

7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

ს/კ 245645235

ელ. ფოსტა: samebalab@gmail.com

მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში: 740347519

ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე

მიმწოდებელი:

შპს „იბერია ავტო ლენდი“

ს/კ 236095177

ელ. ფოსტა: D.Dodiashvili@mitsubishi.ge

იურ. მის: ქ. თბილისი, ს. დიღომი

ს.ს. „ტერა ბანკი“

ბანკის კოდი - TEBAGE22

ა/ა GE 67VT 7000 0077 7777 3602 GEL

დირექტორი: გიორგი ამაშუკელი